პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 125 (4119)

1970 წ. 28 ივნისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## თბილისის „დინამო“ — ნახევარფინალში



„დინამო“ (მოსკოვი) — „ტორპედო“ (მ.) 3:0

„ნევთჩი“ — „სპარტაკი“ (მ.) 1:0

„ჩერნომორეცი“ — „დინამო“ (თბ.) 1:2



## ექვსივე ვარჯიშში

• მოსწავლეთა შარშანდელ რესპუბლიკურ სპარტაკიადაზე ქუთაისელ ტყვიის მსროლელთა წარმატებას ბევრი შემთხვევითობით ხსნიდა, მაგრამ გამარჯვებულნი ასე როდი ფიქრობდნენ. შედეგით კმაყოფილი მწვრთნელები და სპორტსმენები მთელ წელიწადს გულმოდგინედ მუშაობდნენ, ახალი ტურნირისთვის ემზადებოდნენ, რათა მეტოქეებისთვის დაემტკიცებინათ, რომ მათი წარმატება კანონზომიერი იყო.

ავჭალის სასროლეთზე კვლავ მოიყარეს თავი თბილისის, აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისისა და ფოთის სპორტსმენებმა. მოსწავლეები სულ 6 ვარჯიშს ასრულებდნენ. ასპარეზობის დამთავრების შემდეგ გაირკვა, რომ ქუთაისელებს გეგმა გადაჭარბებით შეესრულებინათ, მათ ექვსივე ვარჯიშში გუნდური პირველობა მოიგეს, პირად ჩათვლაში კი 11 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს.

მხოლოდ ქუთაისელთა გუნდის ლიდერებმა აჩვენეს სპორტის ოსტატის, ოსტატობის კანდიდატისა და პირველი თანრიგის შესაბამისი შედეგები, დაამყარეს რეკორდი.

გუნდის წარმატებაში ყველაზე მეტი წვლილი შეიტანეს გ. გალოგრემ და ა. ვაჩიბერიძემ, რომელთაც 3-3 საპრიზო ადგილი დაისაკუთრეს. გალოგრე მცირეკალიბრიანი პისტოლეტით ასპარეზობდა, ვაჩიბერიძე — მცირეკალიბრიანი შაშხანით. პისტოლეტით სილუეტებზე სროლაში გალოგრემ განსაკუთრებით ზუსტად პირველი სერიის 30 ტყვია ისროლა — 300-დან 298 ქულა მოაგროვა. მეორე ცდაზე მან 300 შესაძლებლიდან 11 ქულა დაკარგა, საბოლოდ 587 ქულა აჩვენა და სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულა. მანვე მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლაში გააუმჯობესა თბილისელ მ. ჟამურაშვილის მიერ ხუთი წლის წინ დამყარებული მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდი (575 ქულა) — 578. ეს სპორტის ოსტატობის კანდიდატის შედეგია. გალოგრემ პირველი თანრიგის ნორმატივით გაიმარჯვა შავ სამიზნეებზე სროლაში. პირველი თანრიგი აჩვენა ვაჩიბერიძემაც მცირეკალიბრიანი შაშხანით სტანდარტზე (3×20) სროლაში.

ქუთაისელთა წარმატებასა და რამდენიმე მაღალ მაჩვენებელს ჩრდილავს საერთოდ დაბალი შედეგები. ყველა ვარჯიშში ცეცხლის ხაზზე გამოსული 119 სპორტსმენიდან თანრიგის ნორმატივები მხოლოდ 13 მსროლელმა შეასრულა. მცირეკალიბრიანი შაშხანით წოლელა 60 გასროლაში კი ამ წარმატებასაც ვერავინ მიაღწია.

ერთი სიტყვით, თუ რესპუბლიკურ სპარტაკიადაში გამოვლენილი ნაკლოვანებანი დროულად არ გამოსწორდა, საკავშირო ტურნირში დიდი წარმატების იმედი არ უნდა გვქონდეს.

საერთო გუნდურ ჩათვლაში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: 1. ქუთაისი — 8198 ქულა, 2. თბილისი — 7989, 3. აფხაზეთი — 7899.

ო. ივლოშვილი.

* * *

ტექნიკური შედეგები: მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლელა 60 გასროლა. პირადი. პ. ოვჩინიკოვი (აფხაზეთი) — 574 ქულა, ვაჩიბერიძე — 570, გ. პარკული (თბილისი) — 567; გუნდური (სამი სპორტსმენის შედეგით). ქუთაისი — 1678, თბილისი — 1670, აფხაზეთი — 1641; სტანდარტი (3×20). პირადი. ვაჩიბერიძე — 540, თ. სვანიძე (ქუთაისი) — 519, ოვჩინიკოვი — 518; გუნდური. ქუთაისი—1548, აფხაზეთი — 1483, თბილისი — 1465; მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. მრგვალ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა. პირადი. გალოგრე — 578, ლ. უშვერიძე — 558, მ. ესაძე (ორივე — ქუთაისი) — 557; გუნდური. ქუთაისი — 1670, თბილისი — 1646, აფხაზეთი — 1572; სილუეტებზე სროლა. პირადი. გალოგრე — 587, ესაძე — 555, ვ. ლიპატოვი (თბილისი) — 547; გუნდური. ქუთაისი — 1657, თბილისი — 1606, აფხაზეთი—1582; შავ სამიზნეებზე სროლა. პირადი. გალოგრე — 264; ლიპატოვი — 258, გ. მანუკიანი (აფხაზეთი) — 256; გუნდური. ქუთაისი — 749, თბილისი — 733, აფხაზეთი — 727; პნევმატური შაშხანა. დგომელა სროლა. პირადი. სვანიძე — 328, ნ. გრეჩენკო (აფხაზეთი) — 316, ვაჩიბერიძე — 306; გუნდური. ქუთაისი — 895, აფხაზეთი — 894, თბილისი — 869.




## სსრ კავშირის პირველობა

### I ჯგუფი

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) | 15 | 8 | 5 | 2 | 16—5 | 21 |
| „მეტალისტი“ (ხარკოვი) | 15 | 6 | 8 | 1 | 20—10 | 20 |
| „კარპატი“ (ლვოვი) | 15 | 7 | 6 | 2 | 18—8 | 20 |
| „კრ. სოვეტოვი“ (კუიბიშევი) | 15 | 8 | 4 | 3 | 16—7 | 20 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 14 | 8 | 4 | 2 | 15—7 | 20 |
| „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) | 15 | 6 | 6 | 3 | 15—12 | 18 |
| „ქაირათი“ (ალმა-ათა) | 14 | 6 | 5 | 3 | 25—11 | 17 |
| ასკ (ხაბაროვსკი) | 15 | 5 | 7 | 3 | 11—5 | 17 |
| „პამირი“ (დუშანბე) | 15 | 5 | 5 | 5 | 16—15 | 15 |
| „შახტიორი“ (ყარაგანდა) | 15 | 5 | 5 | 5 | 15—15 | 15 |
| „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) | 15 | 4 | 6 | 5 | 16—13 | 14 |
| ასკ (კიევი) | 15 | 6 | 2 | 7 | 19—17 | 14 |
| „ვოლგარი“ (ასტრახანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 13—14 | 14 |
| „რუბინი“ (ყაზანი) | 15 | 5 | 4 | 6 | 10—16 | 14 |
| „მოლდოვა“ (კიშინიოვი) | 15 | 3 | 7 | 5 | 8—10 | 13 |
| „ურალმაში“ (სვერდლოვსკი) | 15 | 5 | 3 | 7 | 9—21 | 13 |
| „დინამო“ (ლენინგრადი) | 15 | 4 | 4 | 7 | 17—24 | 12 |
| „ალგა“ (ფრუნზე) | 15 | 4 | 4 | 7 | 11—18 | 12 |
| „დაუგავა“ (რიგა) | 15 | 3 | 6 | 6 | 10—20 | 12 |
| „კუბანი“ (კრასნოდარი) | 15 | 3 | 6 | 6 | 5—13 | 12 |
| „ლოკომოტივი“ (თბილისი) | 15 | 4 | 2 | 9 | 13—19 | 10 |
| „სტროიტელი“ (აშხაბადი) | 15 | 2 | 1 | 12 | 8—25 | 5 |

### II ჯგუფი

### II ზონა

მოგვყავს „ა“ კლასის II ჯგუფის II ზონაში ჩატარებული კალენდარული მატჩების შედეგები:

„ვოლგა“ (კალინინი) — „მეტალურგი“ (ტულა) 1:0, „შინიკი“ (იაროსლავლი) — „დინამო“ (ბრიანსკი) 1:0, „სატურნი“ (რიბინსკი) — „ლოკომოტივი“ (კალუგა) 1:0, „ტრუდი“ (ვორონეჟი) — „ტორპედო“ (ტაგანროგი) 5:2, „მეტალურგი“ (ლიპეცკი) — „დინამო“ (სტავროპოლი) 1:0, „სალუტი“ (ბელგოროდი) — „სტალი“ (ვოლგოგრადი) 1:0, „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) — „მაშუკი“ (პიატიგორსკი) 3:1, „ვოლგა“ (გორკი) — „დრუჟბა“ (მაიკოპი) 0:0, „შირაკი“ (ლენინაკანი) — „დინამო“ (მახაჩყალა) 1:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 28 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ტორპედო“ (ტაგანროგი) | 15 | 7 | 6 | 2 | 18—11 | 20 |
| „ვოლგა“ (კალინინი) | 15 | 9 | 1 | 5 | 22—13 | 19 |
| „მეტალურგი“ (ტულა) | 15 | 8 | 3 | 4 | 21—15 | 19 |
| „დინამო“ (ბათუმი) | 15 | 7 | 5 | 3 | 14—9 | 19 |
| „ავტომობილისტი“ (ნალჩიკი) | 15 | 6 | 6 | 3 | 20—6 | 18 |
| „შირაკი“ (ლენინაკანი) | 15 | 7 | 4 | 4 | 16—10 | 18 |
| „შინიკი“ (იაროსლავლი) | 14 | 6 | 6 | 2 | 11—5 | 18 |
| „დინამო“ (სტავროპოლი) | 15 | 6 | 6 | 3 | 15—13 | 18 |
| „დილა“ (გორი) | 15 | 6 | 4 | 5 | 20—16 | 16 |
| „მაშუკი“ (პიატიგორსკი) | 15 | 5 | 6 | 4 | 15—15 | 16 |
| „სალუტი“ (ბელგოროდი) | 15 | 5 | 5 | 5 | 18—17 | 15 |
| „სატურნი“ (რიბინსკი) | 15 | 4 | 7 | 4 | 14—16 | 15 |
| „ლოკომოტივი“ (კალუგა) | 14 | 5 | 5 | 4 | 13—16 | 15 |
| „დრუჟბა“ (მაიკოპი) | 15 | 5 | 5 | 5 | 12—12 | 15 |
| „დინამო“ (კიროვაბადი) | 15 | 5 | 4 | 6 | 14—10 | 14 |
| „ვოლგა“ (გორკი) | 15 | 4 | 6 | 5 | 13—17 | 14 |
| „მეტალურგი“ (ლიპეცკი) | 15 | 4 | 5 | 6 | 15—20 | 13 |
| „სტალი“ (ვოლგოგრადი) | 15 | 3 | 6 | 6 | 11—14 | 12 |
| „დინამო“ (მახაჩყალა) | 15 | 4 | 3 | 8 | 14—25 | 11 |
| „ტრუდი“ (ვორონეჟი) | 15 | 3 | 4 | 8 | 16—21 | 10 |
| „ფოლადი“ (სუმგაითი) | 15 | 2 | 5 | 8 | 6—13 | 9 |
| „დინამო“ (ბრიანსკი) | 15 | 0 | 4 | 11 | 4—28 | 4 |



მეტალურგთა, მშენებელთა და ქიმიკოსთა ქალაქ რუსთავში დიდი ყურადღება ექცევა სპორტის განვითარებას.

სურათზე: მხატვრული ტანვარჯიშის სექციის მეცადინეობა მეტალურგთა კულტურის სასახლეში.

რ. კაჭარავას ფოტო.
(საქტესის ფოტოქრონიკა).

## 28 ივნისს ჩვენს ქვეყანაში ზეიმით აღინიშნება საბჭოთა ახალგაზრდობის დღე

### [illegible]

### ✦ თბილისი

ახლახან თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი ესტუმრა ვოროშილოვგრადს. თბილისელებმა იქ 3 შეხვედრა გამართეს მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის, სპორტსკოლისა და პედინსტიტუტის გუნდებთან და სამივე მატჩი მოიგეს.

ს. ყულიჯანოვი.

### ✦ ცაგერი

ადგილობრივ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ჩატარდა შიდასაკოლექტივო სპარტაკიადა. საერთო-გუნდურ ჩათვლაში პირველობა მოიპოვა აგრონომიული ფაკულტეტის II კურსის გუნდმა.

ბ. გუგავა.

### ✦ ცხაკაია

I საშუალო სკოლის სპორტდარბაზში გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირადი პირველობა კლასიკურ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში უძლიერესი იყო ამავე სკოლის კოლექტივი. პირად ჩათვლაში ჩემპიონები გახდნენ: რ. კალანდია, რ. ჯოჯუა, ზ. ალანია, ხ. სანიკიძე, ა. მურღულია, გ. თულაძე, რ. ლატარია, ა. სვანიძე, მ. მორჩილაძე.

ე. გუგუნავა.

### ✦ ზესტაფონი

მოსწავლე კალათბურთელთა შეჯიბრება ამიერკავკასიის რკინიგზის სკოლების სპარტაკიადის პროგრამით მოიგო ზესტაფონის რკინიგზის VII საშუალო სკოლის გუნდმა.

ა. განუგრავა.

### ✦ ონი

ჩატარდა რაიონის სოფლის სკოლების პირადგუნდური პირველობა მძლეოსნობაში. მონაწილეობდა 8 საშუალო და 4 რვაწლიანი სკოლა. საერთო გუნდური I ადგილი დაიკავა ღარის 8-წლიანმა სკოლამ.

დ. ხახიაშვილი.

### 20.45

◆ პრაღა, 27 ივნისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ ფინალურ მატჩში აქ ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ზბროევკა-ზეტორისა“ და ალმა-ათის „ბურევესტნიკის“ ფრენბურთელ ვაჟთა გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 3:0. განმეორებითი თამაში გაიმართება ალმა-ათაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სპორტი ზღვაში

დამთავრდა წყნარი ოკეანის თასზე გამართული საერთაშორისო ასპარეზობის მეორე ეტაპი. როგორც ცნობილია, ტურნირები ტარდება იმ სავაჭრო გემების ეკიპაჟებს შორის, რომლებიც შორეული აღმოსავლეთის წყლებში დაცურავენ. საზოგადოება „ვოდნიკის" ვლადივოსტოკელ სპორტსმენთა თაოსნობით ორგანიზებული ეს შეჯიბრება დიდი პოპულარობით სარგებლობს საბჭოთა და უცხოელ მეზღვაურებს შორის.

მეორე ეტაპის მანძილზე იაპონიის, ნორვეგიის, გდრ-ის, პოლონეთის, ინგლისის, აშშ-ს, კუბის, საბჭოთა კავშირისა და სხვა ქვეყნების ხომალდების 700-მდე გუნდმა 2000-მდე შეხვედრა გამართა ფრენბურთში, ფეხბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ძალოსნობასა და სპორტის სხვა სახეობებში. ასპარეზობა ტარდება დევიზით „წყნარი ოკეანე — მშვიდობისა და მეგობრობის ოკეანე". სარბიელზე წყნარი ოკეანის სანაპიროს ბევრი საპორტო ქალაქის 30 ათასზე მეტი მეზღვაური და დოკერი გამოვიდა.

წყნარი ოკეანის თასის პრიზები დაისაკუთრეს საბჭოთა თბომავალ „ხაბაროვსკის", ბულგარეთის „ხრისტინას", ნორვეგიის „საგასეილორის", იაპონიის „პუსასიმა-მარუს" და საბერძნეთის „ელენეს" ეკიპაჟებმა.

საერთაშორისო სპორტული შეხვედრები ტრადიციად იქცა არა მხოლოდ წყნარი ოკეანის მეზღვაურებს შორის. შავი ზღვის აუზში, ასევე საზოგადოება „ვოდნიკის" თაოსნობით, უკვე რამდენიმე წელია ტარდება საერთაშორისო ტურნირი „შავი ზღვის მეგობრობის თასისთვის". შეჯიბრებაში მონაწილეობენ სავაჭრო და სამგზავრო გემების გუნდები. ოდესის, იალტის, სოჭის, ვარნის, კონსტანცისა და სხვა ზღვისპირა საპორტო ქალაქების მოსახლეობა ადრევე იგებს მატჩების გამართვის თარიღს და მოასპარეზეთ მაყურებელი არ აკლიათ. შავ ზღვაზე ასეთი წესი აქვთ: ტურნირის ყველა მონაწილე სამახსოვრო ჟეტონებს იღებს და სპორტსმენები ერთმანეთს ამ ჯილდოების კოლექციის შეგროვებაშიც ეჯიბრებიან.

ტურნირებს მართავენ ბალტიის მეზღვაურებიც. აქ მასობრივი შეჯიბრება ტარდება დევიზით: „ბალტიის ზღვა — მეგობრობისა და მშვიდობის ზღვა". ამ ასპარეზობის თაოსანი პოლონეთის სახალხო რესპუბლიკაა.

ლ. ბრანკოვი,
ე. შარაპოვი.

# ჯანმრთელობა ოქროზე ძვირფასია

ამურის ოლქის ჩრდილოეთში, ტაიგასა და მუდმივ ყინულებს შორის გაშლილი ოქროს მაძიებელთა დაბა სოლოვიოვსკი. მუშათა დაბას სტადიონის ტრიბუნებივით დაჰყურებენ გარს შემოჯარული ბორცვების ფერდობები. როგორც კი ერთ-ერთ ამ აყვავებულ ფერდობზე ახვალ, მყისვე თვალში მოგხვდებათ მწვანე ფეხბურთის მინდორი, რომელსაც ერთ მხარეს წყალსაცავის ცისფერი სოლი აკრავს, მეორე მხარეს კი მთლიანად ლარიქსის მორებისგან ნაგები შენობა. ეს არის ტაიგის სტადიონი, უფრო სწორად, მთელი სპორტული კომპლექსი...

დაბა არც ისე დიდია, მაგრამ სპორტი ყველა აქაურ მცხოვრებს ძალიან უყვარს. მარტო სპორტულ სექციებში თითქმის 300 ოქროს მომპოვებელია გაერთიანებული. ამას უნდა დავუმატოთ ადგილობრივი სკოლის მოსწავლეებიც.

სოლოვიოვსკში ჰყავთ თავისი სამბისტები და მოკრივეები, მოცურავეები და მძლეოსნები, ფეხბურთელები და კალათბურთელები. მუდამ თაოსნობას ცდილობს საზოგადოებრივ მწვრთნელთა ჯგუფი, რომელშიც შედიან ელექტრომონტიორი, პირველთანრიგოსანი ვ. ფილიპენკო, მთავარი ენერგეტიკოსი, პირველთანრიგოსანი ა. ბოგოვიკოვი, ხარატი გ. გუბანოვი, ინჟინერი, კომკავშირის კომიტეტის მდივანი ა. ბატკოვსკი, სპორტის ოსტატი ვ. ნენაშევი.

სპორტული კომპლექსი სულ რაღაც ორი წლის განმავლობაში მოეწყო. მშენებლობაში დაბის თითქმის ყველა მცხოვრებმა შეიტანა რაღაც წვლილი.

სოლოვიოვსკელთა სიამაყეა სპორტის სახლი, რომელსაც აქვს საწვრთნელი და სხვადასხვა თამაშებისთვის განკუთვნილი დარბაზები. ერთ-ერთ ოთახშია თავმოყრილი ტაიგელ სპორტსმენთა პირველი სპორტული ნადავლიც.

სპორტსმენ-მშენებლებს უკვე ახალი გეგმები აქვთ: მათ წინადადება წამოაყენეს მოეწყოს ათობით სპორტული მოედანი, ათობით ბავშვთა სპორტული ბაზა და სხვ.

ა. ტროფიმოვი.

დაბა სოლოვიოვსკი,
ამურის ოლქი.

# ტანვარჯიშელ ვ

მაისის ბოლო რიცხვებში ტანმოვარჯიშეთა საკავშირო ჩემპიონატი ჩატარდა. ეს პირველობა სსრ კავშირის ნაკრების შესარჩევი შეჯიბრებაც იყო მსოფლიო ჩემპიონატის წინ, რომელიც ოქტომბერში ლიუბლიანაში (იუგოსლავია) გაიმართება. საკავშირო ასპარეზობას გუნდის საბოლოო შემადგენლობა არ დაუზუსტებია. ეს არც იყო განზრახული, რადგან უძლიერესთა ექვსეულის ვინაობა აგვისტოს მეორე ნახევარში გაირკვევა, მოსკოვში სსრ კავშირის თასის გათამაშების შემდეგ. მაგრამ გუნდის ზოგადი კონტურები უკვე გამოიკვეთა.



როგორც ცნობილია, სახელგანთქმული ნატალია კუჩინსკაია წლინახევრის განმავლობაში არ გამოსულა სარბიელზე, მკურნალობდა. ახლა იგი უკმაყოფილო დარჩა თავისი სპორტული ფორმით და განაცხადა, რომ სპორტს ტოვებს. კუჩინსკაია თეატრის, მუსიკისა და კინოს ინსტიტუტში აბარებს გამოცდას. ჩემპიონატში მონაწილეობა არ მიუღია ლარისა პეტრიკსაც, რომელმაც გდრ-ში გამართულ ასპარეზობაში ტრავმა მიიღო. ახლა იგი უკვე აქტიურად ვარჯიშობს.

ახლა კი საბჭოთა ნაკრების წევრებზე ვილაპარაკოთ.

17 წლის ვორონეჟელი ლ. ბურდა, რომელმაც წლეულს საშუალო სკოლა დაამთავრა, ზედიზედ მეორედ გახდა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი. წლინახევრის მანძილზე იგი 10 სმ-ით გაიზარდა, რაც მთავარია, ბურდას ოსტატობა თანდათან უფრო დამაჯერებელი და სტაბილური ხდება — იგი უხეშ ტექნიკურ შეცდომებს არ უშვებს. ბურდას პროგრამა დატვირთულია რთული ელემენტებით ყველა იარაღზე. ბახის მუსიკაზე შექმნილი ახალი თავისუფალი კომპოზიციით ბურდამ შემოქმედებითი ინდივიდუალობა გამოავლინა მრავალჭიდის ამ სახეობაში, რომელიც ადრე ეძნელებოდა.

ზ. ვორონინა (სპორტსმენებს ვიხსენიებთ საკავშირო ჩემპიონატში დაკავებული ადგილების მიხედვით) ფიცარნაგზე შესვენების შემდეგ გამოვიდა: შარშან აგვისტოს ბოლოს 22 წლის მოსკოველ სტუდენტს, მსოფლიო ჩემპიონ მ. ვორონინის მეუღლეს ვაჟი შეეძინა. მართლაც საოცარია, როგორ შეძლო ოლიმპიური თამაშების ვიცე-ჩემპიონმა ასე სწრაფად აღედგინა ფორმა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ვორონინას კომბინაციები ჯერ არ არის დატვირთული რთული ელემენტებით, რომლებსაც ახლა ტანვარჯიშის პროგრამის აუცილებელ ნაწილად თვლიან. მაგრამ ვორონინა ფიცარნაგზე უწინდებურად ელეგანტური და მომხიბლავია, რეპერტუარის მოდერნიზაციისთვის კი მას დრო აქვს.

ლ. ტურიშჩევას მოულოდნელი მარცხის გამო, რომლის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ, III ადგილი დაიკავა 16 წლის ვიტებსკელმა მოსწავლემ თ. ლაზაკოვიჩმა. იგი უკვე სამი წელია წარმატებით გამოდის გოგონათა ჯგუფში და მოზრდილთა ასპარეზობაში პირველივე მონაწილეობამ დაამტკიცა ამ წარმატებათა სამართლიანობა. ლაზაკოვიჩის კომბინაციები მაინცდამაინც რთული არ არის, მაგრამ შესრულების ძალდაუტანებელი მანერის, ფართო ამპლიტუდისა და ხაზების საოცარი დახვეწილობის წყალობით ეს სპორტსმენი ნაკრებში მეექვსე თუ არა, მეშვიდე სათადარიგო ადგილს მაინც იმსახურებს.

18 წლის უზბეკი, ტაშკენტელი სტუდენტი ე. საადი, 16 წლის ქართველი მზეთუნახავი, ბათუმელი მოსწავლე რ. სიხარულიძე, რიგელი მოსწავლე, 17 წლის ტ. შჩეგოლკოვა — აი, ნაკრების უახლოესი რეზერვი. სამივეს აქვს შანსი ლიუბლიანაში გამგზავრებისა. მაგრამ უფრო დიდი იმედი უნდა ჰქონდეს სხვა სამ ტანმოვარჯიშეს, რომელთაც ჩემპიონატში ბედმა უმტყუნათ.

მინსკის ტურნირში თავისუფალი ვარჯიშის შესრულების დროს დაეცა ოლიმპიადის მონაწილე, სსრ კავშირის თასის ორგზის მფლობელი, ევროპის პირველობის მესამე პრიზიორი ლ. ტურიშჩევა. გროზნოს საშუალო სკოლის კურსდამთავრებულს წლეულს 18 წელი უსრულდება. იგი ჯერ არასდროს ყოფილა ასე ახლოს ოქროს მედალთან, მაგრამ ნერვებმა სწორედ მაშინ უმტყუნა, როცა გამარჯვებამდე სულ ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა. ამასთან, დღეს ცოტა ვინმე თუ გამოდის ასეთი მდიდარი, დატვირთული პროგრამით. ტურიშჩევა საოცარი მუყაითობით გამოირჩევა. სხვათა შორის, მან სკოლაც წარჩინებით დაამთავრა. მსოფლიო ჩემპიონატში გროზნოელი ტანმოვარჯიშის მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს.

მეორე, ვისაც ბედმა უმტყუნა, მოსკოვის პედაგოგიური ინსტიტუტის ფრანგული ენის ფაკულტეტის სტუდენტი, 20 წლის ო. კარასიოვა იყო. სავალდებულო პროგრამის შესრულების დროს მან ორძელზე 7,6 ქულა მიიღო და პირადი პირველობისთვის ბრძოლას გამოეთიშა. ეს მით უფრო საწყენია, რომ ევროპის მეორე ტანმოვარჯიშემ უკვე ორჯერ დაამარცხა პირველი ნომერი — გდრ-ის წარმომადგენელი კ. იან... კარასიოვა გამოცდილი და შეუპო... სპორტსმენი, სიცოცხლით სავსე, მხ... რული ქალიშვილია. მის აშკარად ს... ვურ გარეგნობას ძალიან უხდება ... ვისუფალი ვარჯიში „რუსული კა... დოსკოპი", რომელმაც მინსკში საყ... ლთაო აღტაცება გამოიწვია და ორ... მიიღო ტურნირის უმაღლესი შეფა... — 9,9.

მესამე უიღბლო გახლდათ 15 წ... გროდნოელი გოგონა ო. კორბუტი, ... მელმაც ამ ბოლო ხანს გააოცა საბჭ... სპეციალისტები აშკარად საცირკო ... კისა და ეფექტის ტრიუკებით ორძე... და ძელზე. კორბუტი, ისევე როგ... კარასიოვა, ორძელიდან ჩამოვა... საერთოდ, ამ პროგრამით კორბუტს ... უჭირდება აბსოლუტური სიმტკიცის ... ღწევა, მაგრამ მისი მწვრთნელის ... კნიშის მიგნება ტანვარჯიშში ახალ ... რიზონტებს ხსნის.

მარტო ეს ჩამოთვლაც საკმარ... იმის დასადასტურებლად, რომ ლი... ლიანის სპექტაკლის მონაწილე და... შესადგენად მდიდარი არჩევანი გვ... ახლა საქმე ისაა, ვინ შეასრულებს მ... ვარ როლს, ვინ შეძლებს იანცთან ... ტოქეობას. ყოველ შემთხვევაში, უმ... ლესი მსოფლიო ტიტულის მაძიებ... შორის უცხოელებიდან უფრო სე... ზულ პრეტენდენტს მე ვერ ვხედავ.

ლიდერის დასახელება შეუძლებე... ძალები თანაბარია და სპეციალის... უკვე ლაპარაკობენ, რომ შეიძლება ...



არჩი მურის სახელი ლეგენდადაა ქცეული პროფესიული კრივის ჯუნგლებში. იგი მრავალი წლის მანძილზე დაუმარცხებლად იბრძოდა რინგზე ჯერ საშუალო, მერე კი ქვემძიმე და მძიმე წონაში. მურმა ახალგაზრდობაშივე სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა პროფესიული რინგის მგლურ კანონებს, მაგრამ ვერაფერი დააკლო მათ და პროტესტის ნიშნად გადადგა. ახლა, ხანში შესული მოკრივე ახალგაზრდა სპორტსმენებს ზრდის. მან ჩამოაყალიბა ნიჭიერი ბავშვების კლუბი, სადაც რეგულარულ წვრთნას გადიან 8-15 წლის ახალბედები.

* * *

სურათზე: არჩი მური თავის აღსაზრდელებთან.

# ჩვენი მეგობრის რუბრიკაში

## დიპლომი „ხიროსიმა"

„ბედნიერი ვარ, რომ მაქვს პატივი ეს დიპლომი გამოგიგზავნოთ... დიდ მადლობას მოგახსენებთ მეგობრული რადიოკავშირისთვის, იმედ... გვაქვს, რომ იგი ხელს შეუწყობს ჩვენი მეგობრობის გაღრმავებას. ღი... ბარათზე აღბეჭდილია ამერიკის ატომური დაბომბვის მსხვერპლთა პა... ტივსაცემად აგებული ძეგლი. საბჭოთა ხალხისთვის იგი კარგადაა ცნო... ბილი. ნუღარასდროს განმეორდება ომი. გისურვებთ ბედნიერებასა და... წარმატებებს. კლუბის პრეზიდენტი ტოკეო მაცუმურო".

ასეთი წარწერა აქვს ღია ბარათს, რომელიც დიპლომ „ხიროსიმასთან" ერთად მიიღო შორეული აღმოსავლეთის რადიომოყვარულმა სპორტსმენმა ო. სკოპინცევმა.

საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებში მოპოვებული დიდ... წარმატებებისთვის სკოპინცევს 100 დიპლომი აქვს მიღებული. მათ შო... რისაა დიპლომი „ოკეანია" იმ ასპარეზობაში გამარჯვებისთვის, რომელ... საც ყოველწლიურად ატარებენ ავსტრალია და ახალი ზელანდია, ინ... გლისური დიპლომი „რობინ ჰუდი", პოლონური „ოცდამეერთე მერ... იდიანი".

## ბეჭე

...დგომარეობა ერთის მხრივ კარგიც ...ყოს: ყოველ იარაღს თავისი ლიდერი ...ყავდეს და ვნახოთ, საბოლოო ჯამში ...ას მივიღებთო. მაგრამ ეს შეხედულე... ...ა გამართლებული არ უნდა იყოს. საბ... ...თა გუნდმა ხომ გამარჯვებისთვის ...უნდა იბრძოლოს როგორც გუნდურ, ისე ...ირად ჩათვლაში. ამ უკანას... ...ნელისთვის საჭიროა გვყავდეს ერთი ...ლიერი სპორტსმენი, რომელსაც ბრძო... ...ისთვის საუკეთესო პირობებს შევუქ... ...ნით. როგორც ჩანს, ჩვენი ნაკრების ...ავრიტის ვინაობა აგვისტოში გაირ... ...ვევა, ამ ადგილისთვის გაჩაღებული ...ამბული ბრძოლა კი დანარჩენებს ნე... ...ვული სისტემის შესამოწმებლად გა... ...ადგება.

...ას შემდეგ, რაც სარბიელი დატოვა ...რა ჩასლავსკამ, რომელიც ლარისა ...ატინინას შემდეგ ტანვარჯიშული ...ლების ბრწყინვალე გამომხატველი ...ყო, ევროპაში და მთელს მსოფლიო... ...ჯერჯერობით არ ჩანს ტანმოვარჯი... ..., რომელიც ამ ვარსკვლავებს გაუტო... ...დებოდა.

...არ მინდა პესიმისტი ვიყო, მაგრამ ...აინც უნდა ვთქვა, რომ მსოფლიო ფი... ...არნაგის ეს გაუფერულება შემთხვევი... ...ი არ არის, ხოლო სპორტიდან ნატაშა ...ურინსკაიას წასვლა უკვე სახიფათო ...მპტომი გახლავთ. ტრიუკებით გატა... ...ება და რეპერტუარის უკიდურესი გა... ...თულება მსოფლიო ტანვარჯიშში ...ვეთრ „გაახალგაზრდავების" პროცესს ...წვევს, რადგან ახალი პროგრამები ...ბალ ძალებს, დიდ სიმამაცეს, ნორჩ, ...ოქნილ სხეულს მოითხოვენ. მაგრამ ...ისთვის, რომ ადამიანში გაიღვიძო ...ნდივიდუალობამ, რომ მისი ტალანტი ...რულად გამობრწყინდეს, დროა აუცი... ...ებელი. ლატინინა და ჩასლავსკა 25 ...ლისა იყვნენ, როცა უმაღლეს ოსტა... ...ობას მიაღწიეს, დღეს კი ამ ასაკში ...ორტსმენები უკვე ტოვებენ სარბი... ...ლს.

...ამას წინათ ჩემთან საუბარში ტან... ...არჯიშის საერთაშორისო ფედერაციის ...რეზიდენტმა, ბატონმა არტურ განდე... ...მა თქვა: „მე ვფიქრობ, რომ მომავალ... ...ი ტანვარჯიში კიდევ უფრო მიუახ... ...ოვდება ხელოვნებას. დაიწყება კომ... ...ინაციის გამარტივების პროცესი ელე... ...ანტურობისა და არტისტიზმის ხარჯ... ...ზე". მაგრამ ბატონი განდერი მხოლოდ ...ქეთა ტანვარჯიშს გულისხმობდა. ქალ... ...თა ტანვარჯიშში გადამწყვეტი სიტყვა ...კუთვნის მხოლოდ მადამ ბერტა ვილა... ...ს, ქალთა ტექნიკური კომიტეტის ...ელმძღვანელს.

...მე ვფიქრობ, მადამ ვილანშესაც აწუ... ...ებს ზემოხსენებული საჭირბოროტო სა... ...თხები, რადგან მისი ჭკუა და გამო... ...ილება საყოველთაოდ ცნობილია. მა... ...რამ, ასეა თუ ისე, კიბის ზედა საფე... ...ურებისკენ სულ უფრო ახალგაზრდა ...ანმოვარჯიშეები მიიწევენ, ლაღლი... ...ნი და გულგატეხილნი კი ქვევით ეშ... ...ვებიან.

...ლიუბლიანის ასპარეზობის შედეგებზე ...ინასწარ მხოლოდ ეს შემიძლია ვთქვა: ...უნდური პირველობისთვის იბრძოლებენ ...სრ კავშირის, გდრ-ისა და ჩეხოსლო... ...კიის სპორტსმენები (ისინი გამარჯვე... ...ს მანსებსაც ამ თანმიმდევრობით ...აწილებენ). პირად პირველობაში ...ავორიტები იქნებიან იანცი და რომე... ...იმე ჩვენი სპორტსმენი. ჩემპიონატის ...ირველობის დროს ნაჩვენები იქნება ...ევრი სიახლე, გამოჩნდება ბევრი ახალი ...სახელი, მაგრამ მათგან ვერც ერთი ვერ ...უტოლდება ლარისა ლატინინას ან ...ერა ჩასლავსკას.

**ს. ტოკარევი.**

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ზ. ვორონინა.

# 50 საჭადრაკო დღე

მსოფლიოს პრესაში უჩვეულოდ ფართო გამოხმაურება ჰპოვა საჭადრაკო ცხოვრების სამმა დიდმა მოვლენამ: „საუკუნის მატჩმა", საერთაშორისო „მშვიდობის ტურნირმა" (ორივე შეჯიბრება იუგოსლავიაში გაიმართა) და ევროპის გუნდურმა ჩემპიონატმა (ავსტრია). ჭადრაკის მოყვარულებმა დიდი მღელვარება გადაიტანეს სულ რაღაც ორმოცდაათ დღეში. ასეთი რამ არ ახსოვს ამ უძველესი თამაშის ისტორიას.

ახლა, როცა ვნებები დაცხრა და გადამწყვეტი სიტყვა სპეციალისტებს ეკუთვნით, შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი საინტერესო შეხედულება და ვეცადოთ პასუხი გავცეთ ერთ მწვავე კითხვას: შეიცვალა თუ არა ამ საჭადრაკო ქარიშხლის შემდეგ რაიმე სსრ კავშირის დიდოსტატებისა და უცხოელთა ელიტის ძალთა თანაფარდობაში?

თანამედროვე ჭადრაკში მკვეთრადაა გამოხატული სპორტის, ხელოვნებისა და მეცნიერების ურთიერთშერწყმა, რაც ერთადერთია თავისი სპეციფიკით. ამ ელემენტებიდან თითოეული დღევანდელი აზროვნების თავისებურებას გამოხატავს, განსაკუთრებულ ანალიტიკურ და ფსიქოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. ზოგჯერ მარცხი გამარჯვებაზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდება ხოლმე. ასე იყო, მაგალითად, მეექვსე პარტიაში, რომელიც მოულოდნელად წააგო ბ. სპასკიმ ვ. კორჩნოისთან მატჩში (1968 წ). საჭადრაკო ბატალიების შემოქმედებით შედეგებზე მშრალი ტექნიკური ცნობების მიხედვით კი არ უნდა ვიმსჯელოთ, არამედ პარტიების შინაარსიდან გამომდინარე. რა თქმა უნდა, ამ პარტიების დაწვრილებითი შესწავლა სპეციალური კვლევის საქმეა, მაგრამ ასეთი აღრიცხვის გარეშე მოჭადრაკეთა სატურნირო დავის ანალიზს აზრი არა აქვს.

გაგაცნობთ ჭადრაკის უცხოელი სპეციალისტების შეხედულებებს, რომლებიც მათ საკდესის კორესპონდენტებთან საუბარში გამოთქვეს.

**დიდოსტატი მიგელ ნაიდორფი** (არგენტინა):

— ჭადრაკში საბჭოთა კავშირის უპირატესობაზე თუნდაც ის ფაქტი მეტყველებს, რომ „საუკუნის მატჩში" ამ ქვეყნის გუნდის შემადგენლობაში იყო ოთხი მსოფლიოს ექს-ჩემპიონი და ჭადრაკის ამჟამინდელი მეფე — ბორის სპასკი! საბჭოთა გუნდს უნდა მივულოცოთ, რომ მან საპატიო გამარჯვება (20,5:19,5) მოიპოვა ამ ურთულეს ბრძოლაში, და ისიც, რომ სსრ კავშირში ჭადრაკს, როგორც „მეცნიერულ თამაშს", თვით სახელმწიფო უწყობს ხელს. ეს დასავლეთში არ ხდება.

ძალთა თანაფარდობა ჩვენს სამყაროში ჯერჯერობით დაცულია, მაგრამ ჭადრაკში დამარცხებულები შემდეგ ხშირად იმარჯვებენ ხოლმე. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომავალში „დანარჩენი სამყაროს" მოჭადრაკეები უკვე თანაბარ მეტოქეობას გაუწევენ საბჭოთა დიდოსტატებს. სადღეისოდ კი მხოლოდ ბ. ლარსენი და რ. ფიშერი შეიძლება იყვნენ საბჭოთა კორიფეების კონკურენტები. უაღრესად საინტერესო იქნებოდა, მაგალითად, მატჩის მოწყობა რ. ფიშერსა და მ. ტალს ან ტ. პეტროსიანს შორის. ეს წარმოდგენას მოგვცემდა მათს ჭეშმარიტ სპორტულ და შემოქმედებით ძალაზე.

**დიდოსტატი ლაიოშ პორტიში** (უნგრეთი):

— „საუკუნის მატჩის" ბალანსით ორივე გუნდი კმაყოფილი უნდა იყოს. მეტოქეები ამჯერად თითქმის თანაბარი ძალით იბრძოდნენ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი საინტერესო შეჯიბრებები მომავალშიც მოეწყობა. „მშვიდობის ტურნირი" როვინში და ზაგრებში წლის ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპარეზობა იყო, მაგრამ მისი შედეგები ჯერ კიდევ გულდასმით შესწავლას მოითხოვს. რაც შეეხება ძალთა შეფარდებას, თუნდაც „მშვიდობის ტურნირის" ცხრილი რომ გავითვალისწინოთ, პირველობა სსრ კავშირის დიდოსტატებს ეკუთვნით, თუმცა დღეს მსოფლიოში ბევრი ძლიერი და თანაბარი ძალის მოჭადრაკეა.

**დიდოსტატი ფრიდრიკ ოლაფსონი** (ისლანდია):

— მე ვფიქრობდი, რომ საბჭოთა გუნდი 4-5 ქულის სხვაობით გაიმარჯვებდა. ამიტომ „საუკუნის მატჩის" შედეგები „მსოფლიოს რჩეული მოჭადრაკეებისთვის" მოსალოდნელზე მაღალი აღმოჩნდა. შეიძლება ეს საბჭოთა მოჭადრაკეების ნერვიულობით და საკუთარი ძალის ზედმეტად შეფასებითაც აიხსნას. მაგალითად, მ. ტაიმანოვისა და ვ. ულმანის მეოთხე პარტიაში საბჭოთა დიდოსტატმა უარი თქვა ყაიმზე, შემდეგ კი დამარცხდა. ჩემი აზრით, სხვაობა საბჭოთა მოჭადრაკეებსა და „დანარჩენ სამყაროს" შორის მცირდება და ახლა უფრო ნაკლებია, ვიდრე 10-15 წლის წინ.

მეორეს მხრივ, ეს მოწმობს, რომ მსოფლიომ საჭადრაკო ხელოვნება ისწავლა რუსებისგან. საერთოდ, აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოები დასავლეთზე ძლიერნი არიან ჭადრაკში. და თუ ისეთ ქვეყნებში, როგორიც ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი არიან, დროდადრო სახელგანთქმული მოჭადრაკეები გამოჩნდებიან ხოლმე, ეს მაინც იშვიათ მოვლენად უნდა მივიჩნიოთ.

საინტერესოა ოსტატთა პირველი შეხედულებები სპეციალურ უცხოურ საჭადრაკო პრესაში. მოგვყავს მათგან მხოლოდ ორი:

ჟურნალი „შაკ-ეხო" (გფრ) „საუკუნის მატჩს" ბელგრადში მიიჩნევს ღირსშესანიშნავ მოვლენად, რომლის ყოველი პარტიაც უზუსტესი ანალიზის „მიკროსკოპში" უნდა მოხვდეს. ამასთან, ჟურნალი აღნიშნავს მეგობრულ ატმოსფეროს, რომელიც შეჯიბრებაზე სუფევდა, და ტურნირის ორგანიზატორების დიდ ენერგიას. „რაც შეეხება დანარჩენი სამყაროს წარმატებას პირველ ოთხ დაფაზე (10,5:5,5), აქ მთავარი „დამნაშავე" იყო რ. ფიშერი, რომელმაც მოულოდნელად ოთხიდან სამი ქულა მოუგო ტ. პეტროსიანს", — წერს ჟურნალი.

ბ. ვუდი ინგლისური ჟურნალის „ჩესის" ფურცლებზე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირმა ჭადრაკში მიაღწია ისეთ წარმატებას, როგორიც წარმოუდგენელია სპორტის ერთ რომელიმე სხვა სახეობაში: — „ერთმა ქვეყანამ დაამარცხა მთელი დანარჩენი მსოფლიო"!

ბევრი სპეციალისტი განცვიფრებულია უჩვეულოდ შეუპოვარი ბრძოლით, რომელიც „საუკუნის მატჩში" ყველა დაფაზე იყო გაჩაღებული (გამონაკლისია ვ. ჰორტის ყაიმი პოლუგაევსკისთან მე-11 სვლაზე). „არაფერი ამის მსგავსი ადრე არ მინახავს", — განაცხადა მ. ბოტვინიკმა მოსკოვში დაბრუნების შემდეგ.

მთელ რიგ წერილებში გამოთქმულია ვარაუდები იმის შესახებ, თუ რატომ ითამაშა ბ. ლარსენთან მეოთხე პარტია მსოფლიო ჩემპიონის მაგიერ სათადარიგო მონაწილემ შტეინმა. ნუთუ ბ. სპასკიმ გადაწყვიტა ამჯერად საყაიმო შედეგით დაკმაყოფილებულიყო დანიელთან (1,5:1,5)? ამასთან დაკავშირებით იგონებენ მ. ეივეს შენიშვნას, რომელიც ჰოლანდიელმა დიდოსტატმა მსოფლიო ჩემპიონის გვირგვინისთვის მატჩის დამთავრების შემდეგ (1969 წ.) გააკეთა: „დარწმუნებული ვარ, რომ ბორის სპასკი დიდხანს იქნება მსოფლიო ჩემპიონი. ყოველ შემთხვევაში, ცხრა წელიწადს მაინც. ჯერჯერობით ვერც ერთ დიდოსტატს ვერ ვხედავ, რომელსაც სამი წლის შემდეგ მისი დამარცხება შეეძლოს".

ახლახან ბ. სპასკიმ ლექციები წაიკითხა სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში. მან თქვა:

„ბელგრადში თავს უქეიფოდ ვგრძნობდი, ჯერ კიდევ ლარსენთან მეორე პარტიის წინ გავცივდი. მესამე შეხვედრაში უპირატესობა დიდხანს ჩემს მხარეზე იყო. რაც შემეძლო, ვცდილობდი, მაგრამ ისე დავიღალე, რომ ცაიტნოტში მოვხვდი და გამოუსწორებელი შეცდომა დავუშვი. კარგად თავს არც მეოთხე პარტიისთვის ვგრძნობდი. მე არ მიფიქრია, რომ შტეინს ბედი უმტყუნებდა, თორემ, რასაკვირველია, ვაიძულებდი თავს და მაინც ვითამაშებდი".

სპასკისა და ლარსენის მესამე შეხვედრის დრამატულ ფინალზე ბევრი აზრი გამოითქვა, მაგრამ მათი უმეტესობა მცდარი იყო. ამბობდნენ, თითქოს სპასკის პოზიცია მისი შეცდომის მომენტისთვის (37-ე სვლაზე) უკვე უიმედო ჩანდა. სინამდვილეში კი სულ სხვა სურათი იყო:

მოვაგონებთ კრიტიკულ პოზიციას: თეთრები (სპასკი) — მეფე e2, ეტლი h3, ეტლი d1, მხედარი d5, პაიკები a3, b2, e3, f2; შავები (ლარსენი) — მეფე f5, ეტლი e5, ეტლი h2, მხედარი c4, პაიკები a5, c5, f6, g4. თეთრების სვლა.

კომმარული 37. მფf1??-ის მაგიერ საკმარისი იყო, უბრალოდ 37. ეg1 ე:d5 38. e4+ მფ:e4 39. ე:g4+-ის თამაში და პარტია ალბათ ყაიმით დამთავრდებოდა.

როცა ბოლო საჭადრაკო ბრძოლების დღეებში საბჭოთა მონაწილეთა თამაშზე ლაპარაკობენ, ბევრ ექსპერტს საოცრად მიაჩნია მიღწევები ჩვენი ვეტერანებისა, რომელთაც 58 წლის მ. ბოტვინიკი უდგას სათავეში. მოვაგონებთ, რომ „საუკუნის მატჩში" განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 54 წლის პ. კერესმა, რომელმაც იუგოსლაველ დიდოსტატ ბ. ივკოვთან ოთხ ორთაბრძოლაში 3 ქულა დააგროვა. მან უწინდებური ოსტატობა და შესანიშნავი სპორტული თვისებები გამოავლინა ევროპის ბოლო გუნდურ ჩემპიონატშიც, რომელიც საბჭოთა გუნდის სრული გამარჯვებით დამთავრდა (მეოთხედ!) — 52,5 ქულა 70 შესაძლებლიდან. პ. კერესმა ამ „ყულაბაში" მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა — ხუთიდან ხუთი ქულა. ბრწყინვალედ თამაშობდა 49 წლის ვ. სმისლოვი, რომელმაც ახევე 5 ქულა დააგროვა, ოღონდ ექვს შეხვედრაში.

არ შეიძლება არ აღინიშნოს წარმატება მოსკოვის ჩემპიონის, ახალგაზრდა ი. ბალაშოვისა (5-დან 3,5 ქულა), რომელიც პირველად გამოვიდა საერთაშორისო სარბიელზე.

ამ ორმოცდაათი დღის მანძილზე სპეციალისტთა ყურადღებას კვლავ იქცევდა რ. ფიშერი. განსაკუთრებით საინტერესო იყო მისი გამარჯვება „მშვიდობის ტურნირში", სადაც 27 წლის დიდოსტატმა 2 ქულით ჩამოიტოვა უახლოესი მეტოქეები.

რეიკიავიკში საკდესის კორესპონდენტთან საუბრის დროს ფ. ოლაფსონმა შენიშნა: „ეჭვი არ არის, მსოფლიოში ყველაზე ძლიერი მოჭადრაკე სპასკია. ჩემი აზრით, მეორე ადგილზეა ფიშერი, თუმცა მას ჯერ არ დაუმტკიცებია ეს".

ლასკერის, კაპაბლანკას და ალიოხინის დროს მსოფლიო ჩემპიონი ერთპიროვნულად ადგენდა შეჯიბრების ფინანსურ პირობებსა და წესებს, საჭადრაკო საზოგადოებრიობის შეხედულებას კი ნაკლები ყურადღება ექცეოდა. 1948 წლიდან ეს ტრადიცია მოისპო.

საჭადრაკო კლუბში წაკითხულ ზემოხსენებულ ლექციაში ბ. სპასკიმ ისიც აღნიშნა, რომ ფიშერს ძალიან სურს ორთაბრძოლაში შეხვდეს მსოფლიო ჩემპიონს.

— მე ფიშერთან შეხვედრის წინააღმდეგი არა ვარ, — თქვა სპასკიმ, — მაგრამ ამხანაგურ მატჩზე ყოველგვარი მოლაპარაკება ზედმეტი და უსარგებლოა. „კონსტიტუციით", რომელიც უკვე 20 წელია არსებობს, მსოფლიო ჩემპიონს ხანგრძლივ მატჩში მხოლოდ თავისი წოდების დასაცავად შეუძლია ბრძოლა. ახლა ხომ ყველა დიდოსტატი ფიდე-ს ასპარეზობათა სისტემით თამაშობს. ჩემგან ამ სისტემის გაუთვალისწინებლად ვინმესთან შეხვედრა საკმაოდ საეჭვო ნაბიჯი იქნებოდა მორალური თვალსაზრისით. ამ შემთხვევაში მე მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებდი სხვა დიდოსტატებს. მაგრამ აშშ-ს საჭადრაკო ფედერაციას (თავისი ზონის ერთ-ერთი გამარჯვებულის თანხმობით) შეუძლია თვითონ გამოუყოს ადგილი ფიშერს უახლოეს საზონათაშორისო ტურნირში. თუ ეს მოხდა, ფიშერს კარგი შანსი ექნება წარმატებისა. თუმცა, ბევრი რამ დამოკიდებულია იმაზეც, თუ როგორ შეეგუება ამერიკელი ფსიქოლოგიურად ასპარეზობის შემდეგ ეტაპზე რვა პრეტენდენტის მოკლე მატჩებს...

... ვნახოთ!

**ი. როხლინი,**
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.



ამას წინათ ცნობილი გახდა, რომ მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონმა ფიგურულ ციგურაობაში პეგი ფლემინგმა მონახა მეგობარი, ცხოვრების თანამგზავრი. პეგის გულის მესაიდუმლე გამოდგა მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ფიგურულ ციგურაობაში, ამერიკელი გრეგ ჯენკინსი. დალასის სამედიცინო კოლეჯის სტუდენტმა ჯენკინსმა და პეგი ფლემინგმა თაფლობის თვე ლოს-ანჟელესში გაატარეს.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: პეგი ფლემინგი და გრეგ ჯენკინსი.

1960 წლის აგვისტოდან, როცა ეთერში პირველად გაისმა ო. სკოპინცევის თვითნაკეთი სამოყვარულო სადგურის ხიგნალები, საბჭოთა სპორტსმენმა 10 ათასამდე ბარათი მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის მოყვარული რადისტებისგან. მას დიდი ხანია კავშირი აქვს დამსახურებული ამერიკელ რადიომოყვარულ ინჟინერ რეინოლდსთან (პენსილვანიის შტატი), იაპონელ ინჟინერ კ. იტოსთან და სხვებთან.

ო. სკოპინცევმა დიდ რადიოსპორტში გზა დოსაფის რადიოკლუბიდან გაიკაფა.

**ვ. კლიმენტიევი.**
(საკდესის კორ.).

ვლადივოსტოკი.

## სპორტის სასახლე სტუდენტებისთვის

ტომსკის (დასავლეთ ციმბირი) სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის სპორტის სასახლე აიგო. სილიკატური აგურითა და მინით ნაგებ თანამედროვე შენობას სამი დარბაზი აქვს.

სპორტული თამაშების დარბაზში (36 × 18 მ) მოთავსებულია სამი ფრენბურთისა და კალათბურთის მოედანი, აგრეთვე, ჩოგბურთის კორტი. ტანვარჯიშულ დარბაზში ივარჯიშებენ შუბისა და ბადროს მტყორცნელებიც. საამისოდ საგანგებოდ დადგეს ლითონის ამწე ბადე. მესამე დარბაზი მოჭიდავეებისა და მოკრივეებისთვისაა განკუთვნილი.

სპორტის სასახლეს აქვს სპორტული ინვენტარის საწყობი, სათხილამურო ბაზა 600 წყვილი თხილამურისთვის, დასვენების ოთახები, საშხაპეები, ფინური აბანო, ყავე.

არც მეცნიერები დავიწყებიათ. მოეწყობა ორი ბაროკამერა, რომელთა დახმარებითაც ისინი სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ჩაატარებენ სპორტულ ფიზიოლოგიაში.

## სამბისტთა სკოლა მაიკოპში

ადიღეში მცხოვრები ახალგაზრდა მოჭიდავე-სამბისტების მისამართით ხშირად გაიგონებთ ალტაცების სიტყვებს. თითქმის ყველა ეს სპორტსმენი სსრ კავშირის სპორტის საპატიო ოსტატის, წარსულში ცნობილი მოჭიდავის ი. კობლევის აღზრდილია.

კობლევის ხელმძღვანელობით მაიკოპში, სპორტკლუბ „ბურევესტნიკთან" მესამე წელია შეიქმნა სამბოს სკოლა. ამ ხნის მანძილზე კობლევის 18 მოწაფე სპორტის ოსტატი გახდა. გ. კოსტოკოვი და ვ. ნევზოროვი სსრ კავშირის ჩემპიონები არიან სამბოში ახალგაზრდებს შორის. ისინი ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში გამოვლენ ძიუდოისტთა ევროპულ პირველობაში.

კობლევს იმედი აქვს, რომ მაიკოპის სკოლის აღსაზრდელები თავს გამოიჩენენ ამ მათთვის პირველ საპასუხისმგებლო საერთაშორისო შეჯიბრებაში.



# ლოგიკური აუცილებლობა

თბილისი. სპორტის სასახლე. 26 ივნისი.
„დინამო“ (თბილისი) — ასკ (რიგა) 80:86 (33:42).
„დინამო“: უგრეხელიძე (16), სხიერელი (16), საკანდელიძე (10), მოსეშვილი (10), ბოლქვაძე (9), ჩიხლაძე (7), ალთაბაევი (5), ქორქია (4), ნარიმანიძე (2), მაღალაშვილი (1), ლეჟავა.
ასკ: ბირზნიეკსი (26), ბალოდისი (19), ლეგზდინში (10), ზაბელო (8), ეგლიტისი (8), ფრეიმანისი (4), ტროიცისი (4), კალნიეკსი (4), მუიჟნიეკსი (3), იასნუსი, ზებერგსი, ბერგვალდისი.
მსაჯები: ვ. კოიფმანი (მინსკი), ვ. სელივანოვი (გომელი).




მესამე წრე „დინამომ“ 3 დამარცხებით დაიწყო — სამივე ბრძოლა მან თავის მოედანზე დათმო. უპრეცენდენტო და ერთობ დამაფიქრებელი ფაქტია. თბილისელებმა ვერ მოიგეს მატჩი საკუთარ ქალაქში არც ისე ძლიერ მეტოქესთან. რა გარანტიაა, რომ ისინი უკეთ ითამაშებენ სტუმრად, ვთქვათ, კიევში, ლენინგრადში, ტარტუში ან მოსკოვში? რჩება შთაბეჭდილება, თითქოს „დინამო“ ეს-ესაა ფეხს იკიდებს დიდ კალათბურთში, ეჩვევა უმაღლესი ლიგის გუნდებთან თამაშს და, როგორც გამოუცდელი ახალბედა, რიგი პრობლემების წინაშე დგას.

პრობლემა გუნდს დღეს მართლაც უამრავი აქვს. თავი დავანებოთ ფსიქოლოგიური ხასიათის ფაქტორებს (ბრძოლისუნარიანობის მკვეთრი დაქვეითება, რწმენის დაკარგვა და სხვ.). ისინი შექმნილ ვითარებაში გადამწყვეტ როლს არ ასრულებენ. თბილისელებმა დაივიწყეს, ან მთლად უგულებელყვეს სპორტული ბრძოლის ისეთი მნიშვნელოვანი უბანი, როგორიც დაცვაა. დღეს არაფერია იმაზე ადვილი, ვიდრე „დინამოს“ დაცვითი რიგების გავლა და ბურთის მათ კალათში ჩაგდება. იმიტომ, რომ არავინ უშლის ხელს მეტოქის წინსვლას, არავინ ცდილობს ფარქვეშ ბრძოლას და, რაც მთავარია, არავინ აწუხებს მოწინააღმდეგეს სროლის დროს. აი, ერთი მაგალითი: ბირზნიეკსი, რომელმაც თავის კოლექტივს 26 ქულა შესძინა, მოედნის ყველა კუთხიდან უშეცდომოდ ბომბავდა კალათს. თბილისელებს 40 წუთის მანძილზე სურვილიც არ აღძვრიათ, რომ მისთვის ხელი შეეშალათ. ასე დაუსჯელად მოქმედებდნენ თბილისელთა ნახევარზე სხვა რიგელი თავდამსხმელებიც.

შეხვედრის პირველ ნახევარში უპირატესობა მასპინძლებს ჰქონდათ, მაგრამ სერიოზულად დაწინაურება ნათ ვერ მოახერხეს. პირდაპირ საოცარია, რა ადვილად პოულობს ბურთი გზას ჩვენი კალათისკენ და როგორ რთულდება იმავე გზის გავლა მეტოქის ფარამდე. მე-18 წუთამდე დინამოელთა საერთო ინიციატივას კიდევ ჰქონდა რაღაც გარეგნული ეფექტი. და აი, ერთ წუთში ამ მოჩვენებით უპირატესობას ერთბაშად გამოეცალა საფუძველი. ერთი წუთი საკმარისი გახდა იმისთვის, რომ ჩვენს მეტოქეს ტაიმი 9 ქულით მოეგო.

მეორე ტაიმში კიდევ უფრო გაუგებარი ამბები მოხდა. მოედანი დატოვა რიგელთა მთელმა ძირითადმა შემადგენლობამ: ზებერგსმა, ლეგზდინშმა, ტროიცისმა, ფრეიმანისმა, ეგლიტისმა. უფრო ხელსაყრელ ფორაზე, თამაშის მსვლელობაში გარდატეხის შეტანის უკეთეს შესაძლებლობაზე, ფიქრიც არ შეიძლებოდა. დარწმუნებული ვართ, ანალოგიურ სიტუაციას რიგის ასკ ან რომელიმე სხვა გუნდი უმალ გამოიყენებდა. „დინამო“ კი კვლავინდებურად გადაულახავი სირთულეების წინაშე იდგა და ინერციით მიჰყვებოდა მოვლენებს მისთვის არასასურველი ფინიშისკენ.

სპორტში მარცხისგან არავინაა დაზღვეული და ჩვენც, რა თქმა უნდა, უფლება არა გვაქვს გუნდს ერთი რომელიმე კონკრეტული წაგება ვუსაყვედუროთ. მაგრამ საქმე ისაა, რომ წარუმატებლობამ უკვე სისტემის სახე მიიღო და იგი, როგორც ლოგიკური აუცილებლობა, თან ახლავს დინამოელთა ყოველ მატჩს.

ნ. ბუზუშვილი.

# უცხოეთი სპორტი

● ააჰენი, 26 ივნისი. გფრ-ის ამ ქალაქში, სადაც მიმდინარეობს ეგრეთწოდებული „ცხენოსნური კვირეული“, მსოფლიოს უძლიერესმა მხედრებმა მოიყარეს თავი. ეს შეჯიბრება წინ უსწრებს მსოფლიო პირველობას გახედნაში. პროგრამა საკმაოდ ფართოა და გახედნაში შეჯიბრებასაც შეიცავს. ამ სახეობაში ბევრი ცნობილი სპორტსმენი გამოდის. თავი ისახელეს გდრ-ის მხედრებმა, რომლებმაც გაიმარჯვეს როგორც გუნდურ, ისე პირად ჩათვლაში. საუკეთესო შედეგი აქვს ჰ. კიოლერს — 1203 ქულა. II ადგილზეა ჰ. ბოლდტი (გფრ) — 1170, III — ე. პეტუშკოვა — 1151, IV — ი. კიზიმოვი (ორივე — სსრ კავშირი) — 1145. გდრ-ის გუნდმა (კიოლერი, მიულერი, ბროკმიულერი) — 3420 ქულა დააგროვა, გფრ-ის კოლექტივმა — 3400. III ადგილზე მყოფ საბჭოთა გუნდს (კიზიმოვი, პეტუშკოვა, კალიტა) 3393 ქულა აქვს.

● მოსკოვი, 26 ივნისი. 88 უძლიერესი თანამედროვე ხუთჭიდელი ჩაება სსრ კავშირის პირადი პირველობის გათამაშებაში. შეჯიბრების პირველ დღეს გაიმართა ასპარეზობა ფარიკაობაში. აქ ყველას აჯობა ა. სოკოლოვმა (მოსკოვი), რომელმაც 1060 ქულა დააგროვა. II ადგილზეა კიეველი ვ. ონიშჩენკო — 970, III — ტალინელი კ. ლივი — 940.

● ლენინგრადი, 26 ივნისი. აქ დაიწყო ლენინგრადისა და პრაღის მოჭადრაკეთა ამხანაგური მატჩი. სტუმრების გუნდს მეთაურობს დიდოსტატი მ. ფილიპი, მასპინძლებისას — დიდოსტატი ვ. კორჩნოი. შეჯიბრება ჩატარდება ათ დაფაზე ოთხ ტურად და დამთავრდება 2 ივლისს.

● როტერდამი, 26 ივნისი. ნიდერლანდებისა და სსრ კავშირის მოჭადრაკეთა საერთაშორისო შეხვედრაში გაიმართა II ტური, რის შემდეგაც საბჭოთა კავშირის ნაკრები დაწინაურდა — 8:6.

● პრაღა, 26 ივნისი. ზ. როშიცკის თასის გათამაშებაში სხვადასხვა ქვეყნის უძლიერესი მძლეოსნები მონაწილეობენ. წარმატებას მიაღწია მოსკოვის ოლქის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტმა ა. ლაზარევამ, რომელმაც დაძლია 186 სმ სიმაღლე. ეს შედეგი საკავშირო რეკორდზე 1 სანტიმეტრით უკეთესია.

# ნორჩი დინამოელის წარმატება




დამთავრდა თბილისის ნორჩ ფეხბურთელთა ტრადიციული შეჯიბრება „სიჭაბუკის თასზე“, რომელიც ერთდროულად წარმოადგენს საკავშირო გათამაშების შესარჩევ ტურნირს.

ამ საინტერესო შეჯიბრებაში მონაწილეობა მიიღეს განათლების განყოფილების, „ლოკომოტივის“, „დინამოს“, „განთიადის“, ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლისა და გლდანის სპორტული სკოლა-ინტერნატის სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლების გუნდებმა.

ფინალში თამაშის უფლება მოიპოვეს ნორჩი დინამოელისა და გლდანის სკოლა-ინტერნატის გუნდებმა. დაძაბულ ბრძოლაში გამარჯვება წილად ხვდათ დინამოელებს, რომელთა თავდამსხმელმა თუშიშვილმა შეძლო ერთადერთი გადამწყვეტი ბურთის გატანა.

გამარჯვებულ გუნდში კარგი თამაშით გამოიჩინეს თავი ნადირაძემ, კიკუაშვილმა, მაისაიამ, კახაძემ და სხვებმა. ნორჩ დინამოელებს უკვე რამდენიმე წელია ავარჯიშებს მწვრთნელი ჯ. გაბისონია.

ე. ტაბუცაძე.

# სად, როდის...

ახლოვდება მოზარდ ფეხბურთელთა დასკვნითი საკავშირო შეჯიბრებები „სიჭაბუკის თასზე“, „იმედის თასზე“, აგრეთვე ჭაბუკთა საკავშირო ჩემპიონატი.

„სიჭაბუკის თასის“ ნახევარფინალური ეტაპის გათამაშება 15-16 წლის ფეხბურთელთათვის ჩატარდება 3 ზონაში, 2-12 ივლისს ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ქალაქ შახტში იბრძოლებენ რსფსრ-ს, მოლდავეთის, თურქმენეთის, უზბეკეთისა და ესტონეთის გუნდებთან.

შეჯიბრება „იმედის თასზე“ ჩატარდება 18-28 ივლისს. საქართველოს ნაკრები ნახევარფინალში გამოვა ქ. მიჩურინსკში ბელორუსიის, ლატვიის, ტაჯიკეთის, მოსკოვისა და „შრომითი რეზერვების“ გუნდებთან ერთად.

# განაცხადების შეტანის ვადა ახლოვდება

ახლოვდება ფეხბურთში საქართველოს ზონალური შეჯიბრების დაწყების თარიღი — 4 ივლისი. ფეხბურთის რესპუბლიკური ფედერაცია აფრთხილებს გათამაშებაში მონაწილეობის მსურველებს, ვისაც ჯერ არ წარმოუდგენია შესაბამისი განაცხადები, რომ 4 ივლისის შემდეგ განაცხადები აღარ მიიღება.

ამას გარდა, იწყება საქართველოს თასის გათამაშებაც. ამ ღონისძიებაში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განაცხადები უნდა წარმოადგინონ არაუგვიანეს 10 ივლისისა.

# ხულიგანი დაისაჯა

ამას წინათ ყვარელში მიმდინარეობდა კალენდარული მატჩი საქართველოს პირველობაზე ფეხბურთში II ჯგუფის I ზონის გუნდების — ადგილობრივი „დურუჯისა“ და ვაზისუბნის „მევენახეს“ შორის.

ერთ-ერთ მომენტში, როცა „დურუჯმა“ ბურთი გაიტანა მოწინააღმდეგის კარში, „მევენახის“ მეკარე გ. ორთოიძე მივარდა მატჩის მსაჯს, უხამსი სიტყვებით მიმართა მას და ფიზიკური შეურაცხყოფაც კი მიაყენა.

ხულიგან გ. ორთოიძის ეს საქციელი უყურადღებოდ არ დარჩენილა. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის სპორტტექნიკურმა კომისიამ მას სამუდამოდ აუკრძალა ფეხბურთის თამაში. ამას გარდა, როგორც ყვარლის შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსის მოადგილე, მილიციის მაიორი ამხ. აბრამიშვილი გვატყობინებს, გ. ორთოიძე დაპატიმრებულია და მიცემულია პასუხისგებაში.

# კროსვორდი

ეძღვნება IX მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში



ვერტიკალით: 1. ბულგარეთის ნაკრების მცველი. 2. გფრ-ის ნაკრების დაცვის ბურჯი. 3. შვეციის ნაკრების მცველი. 4. ფიფა-ს ხელმძღვანელის თანამდებობა. 8. ბურთის გვერდით ხაზზე გადაცილება. 9. პერუს ნაკრების მწვრთნელი. 10. ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი. 11. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მცველი. 13. ინგლისის ნაკრების თავდამსხმელი. 14. შოტლანდიის საკლუბო გუნდი. 15. სპორტსმენის ვარჯიშის, კვების დაგეგმვა, განაწილება. 17. იტალიის ნაკრების მეკარე. 18. მაროკოს ნაკრების თავდამსხმელი. 19. ბელგიის საკლუბო გუნდი. 23. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების თავდამსხმელი. 24. სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელი. 25. დასავლეთ ბერლინის საკლუბო გუნდი. 27. ჩეხოსლოვაკიის ნაკრების მცველი.

ჰორიზონტალით: 5. ინგლისის ნაკრების ვარსკვლავი. 6. მექსიკური ჩალის ქუდი. 7. ქალაქი ჩილიში, სადაც მსოფლიო ჩემპიონატში სსრ კავშირის ნაკრები თამაშობდა. 9. ბელგიის ნაკრების ნახევარმცველი. 12. მექსიკის ნაკრების კაპიტანი. 14. მექსიკის ნაკრების ნახევარმცველი. 15. იტალიის ნაკრების მცველი. 16. ბურთის ან ფეხბურთელის მოძრაობის ფაზა. 20. მაროკოს ნაკრების მცველი. 21. IX ჩემპიონატის დებიუტანტი. 22. გფრ-ის ნაკრების ნახევარმცველი. 24. ინგლისის ნაკრების მცველი. 26. სალვადორის ნაკრების მცველი. 28. ინგლისის საკლუბო გუნდი. 29. ბრაზილიის ნაკრების მცველი. 30. მექსიკის ნაკრების თავდამსხმელი. 31. საბჭოთა ნაკრების სავარჯიშო ბაზა მეხიკოში. 32. ბელგიის საკლუბო გუნდი.

შეადგინა ე. ჯოხონელიძემ.

# არ გამართლდა

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ვწერდით, რომ საბჭოთა ძალოსნებს სომბათხეიში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატში ექვსი ოქროს მედლის მოპოვების შანსი ჰქონდათ. მაგრამ ქვემიიმე წონის ათლეტთა ასპარეზობამ ეს ვარაუდი არ გაამართლა.

ასეთი უშეღავათო და დაძაბული ბრძოლა არც ერთ წონით კატეგორიაში არ გამართულა. ფავორიტებს შორის იყვნენ მსოფლიოსა და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ფინელი კ. კანგასნიემი, ევროპის პირველობის პრიზიორები, შვედი ბ. იუჰანსონი და ჰ. არნოლდი (გდრ), სსრ კავშირის ჩემპიონი ვ. კოლოტოვი და სხვ.

კანგასნიემისთან დაუსწრებელ ბრძოლაში საბჭოთა ათლეტმა მსოფლიო რეკორდის ჭერი 532,5 კგ-მდე ასწია. და აი, სომბათხეის ფიცარნაგზე ეს ორი შესანიშნავი ათლეტი ერთმანეთს შეხვდა. მართალია, დავა ამჯერად ფინელის სასარგებლოდ გადაწყდა, მაგრამ კოლოტოვს სანუგეშოდ ის მაინც დარჩა, რომ მსოფლიო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 201,5 კგ. ეს 1 კგ-ით სჯობს მისსავე ძველ მიღწევას.

კანგასნიემიმ სამჭიდში 530 კგ დააგროვა. 2,5 კგ-ით ჩამორჩა კოლოტოვი. კიდევ 2,5 კგ-ით ნაკლები დააგროვა ბ. იუჰანსონმა და ბრინჯაოს მედალი დაისაკუთრა.

27 ივნისს ასპარეზობდნენ მძიმე წონის ათლეტები. საბჭოთა გუნდის ღირსებას ამ წონით კატეგორიაში იცავდა მსოფლიო ჩემპიონი ი. ტალტსი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

თბილისის სპორტულ ცხოვრება

ფეხბურთი. „სინათლის“ სტადიონი. დღეს. საქართველოს პირველობა. „სინათლე“ (თბილისი)—„მესხეთი“ (ახალციხე). დასაწყისი 18 ს.

ქართული ჭიდაობისა და ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ქართული ჭიდაობის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარე

აკაკი ნოეს ძე ადეიშვილი

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03307